ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 03-06/05

ქ.ბათუმი 20 იანვარი 2024 წელი

ერთი მხრივ სსიპ ქ.ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა" (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ ზაქარაძის სახით და მეორე მხრივ შპს ,,ბაინდერი" (შემდგომში მიმწოდებელი) ს/კ 448412227 ანგარიშის ნომერი GE05PC0033600100054706 წარმოდგენილი ორგანიზაციის დირექტორის გიორგი ნაკაშიძის სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მომწოდებელი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველს აწვდის წინამდებარე ხელშეკრულების დანართით (ფასების ცხრილით) გათვალისწინებულ საქონელს (შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი მითითებულია ფასების ცხრილში) შესაბამისად (CPV-30100000; 39500000).

1.2 საქონლის სახეობა, რაოდენობა და სხვა სპეციფიკაციები მოცემულია ხელშეკრულების დანართში ფ.3

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **953,00** (ცხრაას ორმოცდაცამეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.2. შემსყიდველი არ არის ვალდებული სრულად შეიძინოს ფასების ცხრილში მითითებული საქონელი, საქონლის შეძენა განხორციელდება წლის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი-ელენა შერვაშიძე და შესყიდვების ოტიექტის ტექნიკური მახასიათებლის დადგენაზე პასუხისმგებელი პირი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მალხაზ ანდღულაძე.

3.2 საქონლის მიღება განხორციელდება, ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულებისა და რაოდენობის მითითებით გაფორმებული მიღება-ჩაბარების საფუძველზე.

3.3 საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2024 წლის 15 თებერვლის ჩათვლით პერიოდში.

3.4 საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

3.5. საქონლის მიწოდების ადგილია ქ.ბათუმი, ფიროსმანის ქ. # 5

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის მიხედვით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

5.გარანტია

5.1მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლოატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

5.2 მიმწოდებელი ვალედებულია შეტყობინებების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონელის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადახდილი თანხიდან.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

6.2. წუნდებული საქონლის შეცვლას მოთხოვნიდან 25 დღის ვადაში თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს მომწოდებელი.

6.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი სკოლის ბუღალტერი.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

7.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.4. საჭიროების შემთხვევაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე შეიძლება გადასინჯულ იქნეს როგორც ხელშეკრულების პირობები ასევე ხელშეკრულების ფასებიც.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ სამი დღით ადრე.

9.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან, ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად.

10.2. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

10.3. მოწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მომწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10.4. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები	
„შემსყიდველი“ სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა (ქ.ბათუმი,ფიროსმანის ქ.#5) ს/კ 245428933 მიმღების ბანკი სახელმწიფო ხაზინა კოდი- TRESGE22 მიმღების ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 762837520 ----------/ბ.ბაქარაძე/ (ხელმოწერა)	„მიმწოდებელი“ შპს „ბაინდერი“ ქ.ბათუმი, აღმაშენებლის ქ. # 21 ს/კ 448412227 ანგ.№ GE05PC0033600100054706 მიმღ. ბანკი: სს “ პროკრედიტ ბანკი “ კოდი: MIBGGE22 ----------/გ.ნაკაშიძე/ (ხელმოწერა)

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	CPV-კოდი	საზომი ერთ.	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	კალამი	30192700	ცალი	20	1,4	28
2	კალამი	30192700	ცალი	50	0,9	45
3	ქაღალდი A4 ლეიბლი	30192700	ცალი	3	30	90
4	ცარცი (100ც)	30192700	ცალი	40	10	400
5	იატაკის საწმენდი ტილო	39525800	ცალი	15	12	180
6	იატაკის საწმენდი ტილო	39525800	ცალი	30	7	210
	სულ					953